ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 221

10 აგვისტო
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის N18.571.852 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მოწონებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის №18.571.852 განკარგულების დანართების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები

1. ინტერესთა გამოხატვის მიზანი

1.1. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების მიზანია ამ პირობებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის უძავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

1.2. ინტერესთა გამოხატვის პირობები და გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმები დადგენილია წინამდებარე პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროექტის აღწერილობა, ძირითადი ვადები და საბანკო გარანტიები

2.1. დასახელება: „ვარკეთილის მეტროს მიმდებარე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი“ (შემდგომში - „ავტოსადგომი“).

2.2. უძრავი ქონება:

2.2.1. მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობი: 840 კვ. მ;

2.2.2. სავარაუდო საპროექტო ტერიტორია: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ, წინამდებარე პირობების დანართი N1-ში მოცემულ რუკაზე შემოსაზღვრული საპროექტო ტერიტორია.

2.3. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 70 ერთეული.

2.4. უძრავი ქონების განკარგვის პირობები:

2.4.1. განკარგვის ფორმა: პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის;

2.4.2. საპრივატიზებო საფასური: სიმბოლური ფასი - 1 ლარი;

2.4.3. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს უძრავი ქონება გადაეცემა მიწისზედა ტერიტორიის მშენებლობის/ოპერირების უფლების გარეშე, გარდა უშუალოდ და პირდაპირ ავტოსადგომის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (ჩასასვლელ-ამოსასვლელი კვანძების) მოწყობის უფლებისა. გამარჯვებულ პირს არ აქვს უფლება, შემოღობოს საპროექტო ტერიტორია ან/და რაიმე ფორმით შეზღუდოს მისი მიწისზედა საერთო საზოგადოებრივი სარგებლობა.

2.4.4. წინამდებარე პირობების 2.4.1-2.4.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები ძალაში შევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.5. წინასამშენებლო ფაზა:

2.5.1. ავტოსადგომის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლის (შემდგომში - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა) ვადა: არაუმეტეს 3 (სამი) თვისა ავტოსადგომის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „იმპლემენტაციის ხელშეკრულება“) დადების დღიდან.

2.5.2. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - მთავრობა), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში - სააგენტო) და გამარჯვებული პირის მიერ ავტოსადგომის მშენებლობის

მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისა და პროექტის შემდგომი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შეთანხმების (შემდგომში - „შეთანხმება“) დადების ვადა: არაუგვიანეს გამარჯვებული კომპანიის მიერ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მთავრობისთვის წარდგენიდან 3 (სამი) თვისა (შეთანხმების სტანდარტული პროექტი მოცემულია იმპლემენტაციის ხელშეკრულების დანართის სახით);

2.5.3. პრივატიზების ხელშეკრულების დადების ვადა: არაუგვიანეს 1 თვისა წინამდებარე პირობების 2.5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადების დღიდან პრივატიზების ხელშეკრულების სტანდარტული პროექტი მოცემულია იმპლემენტაციის ხელშეკრულების დანართის სახით;

2.5.4. მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა: არაუგვიანეს 3 თვისა წინამდებარე პირობების 2.5.2 ქვეპუნქტში გათვალისწინებული შეთანხმების დადების დღიდან.

2.6. სამშენებლო ფაზა:

2.6.1. მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ავტოსადგომის მშენებლობის დაწყების ვადა: არაუგვიანეს 1 თვისა მშენებლობის ნებართვის მოპოვების დღიდან;

2.6.2. მშენებლობის დასრულებისა და ექსპლოატაციაში მიღების ვადა: არაუგვიანეს 18 თვისა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვების დღიდან.

2.7. წინასამშენებლო საბანკო გარანტია

ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირის განაცხადის, იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადების, იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისა (მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელების, შეთანხმებისა და პრივატიზების ხელშეკრულების ხელმოწერის, ავტოსადგომის მშენებლობის ნებართვის მოპოვების) და სამშენებლო საბანკო გარანტიის წარდგენის უზრუნველსაყოფად მთავრობის სასარგებლოდ წარსადგენი უპირობო და გამოუხმობადი წინასამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობაა 35,000.00 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში, გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. წინასამშენებლო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 5 თვით უნდა აღემატებოდეს იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მშენებლობის ნებართვის მოპოვების ბოლო ვადას. წინასამშენებლო საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD”) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. მთავრობა უფლებამოსილია წინასამშენებლო საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ და აცნობოს გამარჯვებულ პირს ამის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ:

2.7.1. გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის ვადა ჯამში 15 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის 50%-ის ოდენობით;

2.7.2. გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის ვადა ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით;

2.7.3. გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ავტოსადგომის მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა ჯამში 15 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის 50%-ის ოდენობით;

2.7.4. გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ავტოსადგომის მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით;

2.7.5. გამარჯვებულმა პირმა იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო სამშენებლო საბანკო გარანტიის მთავრობისთვის წარდგენა - დაუყოვნებლივ, წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით;

2.7.6. გამარჯვებული პირის ბრალით ანდა მიზეზით არ მოეწერა ხელი შეთანხმებას ან პრივატიზების ხელშეკრულებას იმპლემენტაციის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში - დაუყოვნებლივ, წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით.

2.8. სამშენებლო საბანკო გარანტია

იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის, ავტოსადგომის მშენებლობის დასრულების, მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული სამშენებლო ეტაპების (გრაფიკის) შესრულებისა და ავტოსადგომის ექსპლოატაციაში მიღების) უზრუნველსაყოფად მთავრობის სასარგებლოდ წარმოსადგენი უპირობო და გამოუხმობადი სამშენებლო საბანკო გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობაა 175,000.00 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში, გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სამშენებლო საბანკო გარანტიის წარდგენის ვადაა მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე. სამშენებლო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 5 თვით უნდა აღემატებოდეს ავტოსადგომის ექსპლოატაციაში მიღების ბოლო ვადას. სამშენებლო საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD”) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ.

2.9. გამარჯვებული პირის მიერ მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ავტოსადგომის მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას სამშენებლო საბანკო გარანტიის 0.5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გამარჯვებული პირი ვალდებულია დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს მთავრობის შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

2.10. გამარჯვებული პირის მიერ ავტოსადგომის მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული სამშენებლო ეტაპების (გრაფიკის) დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას სამშენებლო საბანკო გარანტიის 0.5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გამარჯვებული პირი ვალდებულია დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს მთავრობის შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

2.11. გამარჯვებული პირის მიერ ავტოსადგომის ექსპლოატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას სამშენებლო საბანკო გარანტიის 0.5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გამარჯვებული პირი ვალდებულია დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს მთავრობის შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

2.12. გამარჯვებული პირის მიერ 2.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს დაეკისროს პირგასამტეხლო 100 000 ლარის ოდენობით.

2.13. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:

2.13.1. თუ გამარჯვებულმა პირმა შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში იმპლემენტაციის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის 2.9,

2.10 ან/და 2.11 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლო - გადაუხდელი პირგასამტეხლოს ოდენობით;
2.13.2. თუ მთავრობა რომელიმე ჩამოთვლილი გარემოებიდან გამომდინარე ცალმხრივად შეწყვეტს იმპლემენტაციის ხელშეკრულებას - არსებული სამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით:
2.13.2.1. თუ ინტერესთა გამოხატვის პირობების 2.9 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
2.13.2.2. თუ ინტერესთა გამოხატვის პირობების 2.10 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
2.13.2.3. თუ ინტერესთა გამოხატვის პირობების 2.11 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
2.13.2.4. თუ გამარჯვებული პირი დაარღვევს ინტერესთა გამოხატვის პირობების ან/და იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს სამშენებლო ფაზის ფარგლებში, გარდა სამშენებლო საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა, 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით;
2.13.2.5. თუ გამარჯვებული პირი უარს იტყვის პროექტის განხორციელებაზე;
2.13.2.6. თუ გამარჯვებული პირის მიერ მოწოდებული ან/და მთავრობის/ სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ კომპანიის მიერ არ განხორციელებულა იმპლემენტაციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები და აღნიშნული გრძელდება 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით.

3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები

3.1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იურიდიულ პირს ან იურიდიულ პირთა კონსორციუმს.
3.2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა ამ პირობების 9.1 პუნქტით დადგენილ ვადაში მთავრობას უნდა წარუდგინოს განაცხადი პირობებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციის შესახებ განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია/ინფორმაცია:
3.2.1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს შესაბამისი წესით დამოწმებული და ნათარგმნი ქართულ ენაზე;
3.2.2. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
3.2.3. წინასამშენებლო საბანკო გარანტია, რომელიც სრულად უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
3.2.4. ინფორმაცია სამშენებლო ან/და ავტოსადგომის მშენებლობის/ოპერირების სფეროში გამოცდილების შესახებ;
3.3. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული ინფორმაცია/ დოკუმენტაცია წარადგინოს დალუქული კონვერტით. დალუქულ კონვერტზე მითითებული უნდა იყოს

წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ინტერესთა გამოხატვისა და განმცხადებელი პირის დასახელება.

3.4. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობაზე განცხადების მიღება და რეგისტრაცია ხორციელდება განმცხადებლის მიერ სრული დოკუმენტაციის წარდგენისთანავე.

3.5. შესაძლოა, განმცხადებელს უარი ეთქვას ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ ამ მუხლის 3.2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარდგენილია არასრულად ან/და შეიცავს ხარვეზ(ებ)ს, მთავრობა უფლებამოსილია, დაინტერესებულ პირს წერილობით განუსაზღვროს დამატებითი ვადა არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა, შესაბამისი ხარვეზის გამოსასწორებლად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის წარმოდგენის შემდეგ დაუშვებელია განაცხადით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის, სამშენებლო საბანკო გარანტიის შეთავაზებული ოდენობის ცვლილება.

3.6. განაცხადი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ინტერესთა გამოხატვით დადგენილ პირობებს ან/და რომელიც წარმოდგენილია ვადების დარღვევით, რჩება განუხილველი, რის შესახებაც სააგენტო შესაბამის პირ(ებ)ს გაუგზავნის შეტყობინებას.

3.7. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს.

4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის წესი და კრიტერიუმები

4.1. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების გახსნა/განხილვა განხორციელდება ამ პირობების 9.1 პუნქტით დადგენილი ბოლო ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში.

4.2. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირები, რომლებსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი აქვთ შესაბამისი განაცხადი, უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ წარდგენილი განაცხადების გახსნის პროცესს. განაცხადების გახსნის/განხილვის შესახებ აღნიშნული პროცესის მონაწილე მხარეების ხელმოწერით დგება ოქმი.

4.3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირ(ებ)ის ის განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ პირობებს, სააგენტოს მიერ წარედგინება მთავრობას, გამარჯვებული პირის გამოვლენის მიზნით.

4.4. ამ მუხლის 4.3 პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილი განაცხადების განხილვა/შეფასება და გამარჯვებული პირის გამოვლენა განხორციელდება მთავრობის მიერ, ამ პირობების 9.1. პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, გააგრძელოს ზემოაღნიშნული ვადა არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა.

4.5. მთავრობა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს გამოავლენს შემდეგი წესით:

4.5.1. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე, მთავრობისთვის წარდგენილია ორი ან მეტი განაცხადი, მთავრობა გამარჯვებულად ცნობს იმ მონაწილეს, რომლის მიერაც შეთავაზებულია ყველაზე დიდი ოდენობის სამშენებლო საბანკო გარანტია;

4.5.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე, ორი ან მეტი განაცხადით წარდგენილია ერთი და იმავე ოდენობის სამშენებლო საბანკო გარანტია, მთავრობა ამ განაცხადების წარმომდგენ პირებს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შეფასების

კრიტერიუმის ნაწილში გაუმჯობესებული წინადადებების წარმოდგენის მიზნით ან სხვა დამატებით კრიტერიუმს;

4.5.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში მთავრობისთვის წარდგენილია მხოლოდ ერთი განაცხადი, მთავრობა უფლებამოსილია ამ განაცხადის წარმომდგენი პირი ცნოს გამარჯვებულად, იმ პირობით, რომ განაცხადი აკმაყოფილებს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ მოთხოვნებს.

4.6. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან დაიდება იმპლემენტაციის ხელშეკრულება, ხოლო დანარჩენ პირებს მთავრობის მიერ გამარჯვებული პირის გამოვლენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნდებათ მათ მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტიები.

5. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან იმპლემენტაციისა და პრივატიზების ხელშეკრულებების დადება

5.1. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია გამარჯვებულად ცნობიდან 60 კალენდარული დღის ვადაში მთავრობასთან და სააგენტოსთან დადოს იმპლემენტაციის ხელშეკრულება.

5.2. წინამდებარე პირობების 2.5.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში სააგენტოსა და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს შორის დაიდება პრივატიზების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გამარჯვებულ პირს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ ფასად, პირდაპირი განკარგვის წესით, საკუთრებაში გადაეცემა პროექტის განსახორციელებლად საჭირო მიწის ნაკვეთები საქართველოს კანონმდებლობის, იმპლემენტაციის ხელშეკრულებისა და ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად. პრივატიზების ხელშეკრულების დადება საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარ თანხმობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს, მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, იმპლემენტაციის ხელშეკრულების პროექტში შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიზეზით არ დაიდო იმპლემენტაციის ხელშეკრულება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, მთავრობა უფლებამოსილია დაუყოვნებლივ გამოითხოვოს გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტია სრული ოდენობით, გამარჯვებულად ცნოს და იმპლემენტაციის ხელშეკრულება დადოს დარჩენილ მონაწილეებს შორის მომდევნო საუკეთესო განაცხადის წარმომდგენ პირთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, საპრივატიზებო პირობებით. მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, საპრივატიზებო ხელშეკრულების გარდა უნდა წარედგინოს საკუთრების დამდასტურებელი მოწმობა.

7. პროექტის განხორციელების ძირითადი პირობები

7.1. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში, წინამდებარე პირობებით და იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია:

7.1.1. განახორციელოს მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და მთავრობას წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს:

7.1.1.1. საპროექტო ტერიტორიის დეტალური გეოლოგიური კვლევა;

7.1.1.2. ინფორმაცია მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის სართულიანობისა და ავტომანქანების ტევადობის შესახებ;

7.1.1.3. მიწისქვეშა ნაგებობის კონტურის ნახაზი, წინამდებარე პირობების დანართ N1-ით მოცემულ რუკაზე შემოსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში;

7.1.1.4. მშენებლობის განხორციელების დროში გაწერილი, ყოველკვარტალური გეგმა;

7.1.1.5. პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის, ინფორმაცია პარკირების საფასურის შესახებ;

7.1.1.6. მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის ჩასასვლელ-ამოსასვლელი კვანძების სქემატური ნახაზი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის (და სხვა შესაბამისი უწყებების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წერილობით თანხმობასთან ერთად.

7.1.2. განსაზღვროს ავტოსადგომის ზუსტი კოორდინატები წინამდებარე პირობების დანართ N1-ში მოცემულ რუკაზე შემოსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიშით წარმოდგენილი შენობის კონტურის ნახაზის გათვალისწინებით.

7.1.3. მოიპოვოს მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ნებართვა და პროექტის განსახორციელებლად საჭირო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ნებართვები/ლიცენზიები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. სამშენებლო ფაზის ფარგლებში, წინამდებარე პირობებით და იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებებია:

7.2.1. შესაბამისი მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის დაწყება;

7.2.2. მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული სამშენებლო ეტაპების (გრაფიკის) დაცვა;

7.2.3. სამშენებლო სამუშაოების წარმოება საქართველოს კანონმდებლობის, სამშენებლო, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების (სტანდარტების) სრული დაცვით;

7.2.4. წინამდებარე პირობების დანართი N1-ში მოცემულ რუკაზე შემოსაზღვრულ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციების, ასევე, ავტოსადგომის მშენებლობის ეტაპზე აღმოჩენილი ნებისმიერი არარეგისტრირებული კომუნიკაციის გადატანა საკუთარი ხარჯით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.2.5. მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის დასრულება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლოატაციაში მიღება.

7.3. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია ავტოსადგომზე უზრუნველყოს „სმარტ პარკინგის" სისტემების დანერგვა, რომელიც უნდა იყოს უნივერსალური და ინტეგრირებადი ქალაქ თბილისში არსებული ან დაგეგმილი ავტოსადგომების სხვა სისტემებთან. „სმარტ პარკინგის" სისტემები უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) შემდეგს:

7.3.1. თავისუფალი ადგილების ამომცნობი მოწყობილობა და შესასვლელებში შესაბამისი ინფორმაციის გამომხატველი მონიტორი;

7.3.2. ადგილის დაკავების ან თავისუფალი ადგილის არსებობის აღმნიშვნელი თითოეული ავტოსადგომის ინდივიდუალური სანათი;
7.3.3. უკონტაქტო გადახდის სისტემა (ავტომანქანის ნომერზე მიბმული ავტომატური გადახდის სისტემა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული შეუძლებელია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო);
7.3.4. დგომის საფასურის უნაღდო და ნაღდი ფულით გადახდის სიტემით აღჭურვილი ავტომატური აპარატები;
7.3.5. თავისუფალი ადგილებისდაჯავშნის შესაძლებლობა მობილური აპლიკაციით.
7.4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულმა პირმა ავტოსადგომზე ავტომანქანებისთვის განკუთვნილი ადგილების სულ მცირე 5% უნდა გამოყოს ელექტროავტომანქანებისათვის და აღნიშნულ ადგილებზე დაამონტაჟოს ელექტრომანქანის დასამუხტი მოწყობილობები.
7.5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზების სქემის ოპტიმიზაციას, გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს მიმდებარე მიწისზედა, სავალი გზის განაპირა ზოლში არსებული ავტოსადგომების გაუქმებას ან რეორგანიზაციას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული არ გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებას, დაპირებას ან/და რაიმე სახის გარანტიას, უზრუნველყოს მიმდებარე ავტოსადგომების გაუქმება ან/და რეორგანიზაცია.

8. ინტერესთა გამოხატვის გარდამავალი დებულებები

8.1. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების გამოცხადება/გამოქვეყნება არ ავალდებულებას მთავრობას, დადოს ხელშეკრულება ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირ(ებ)თან, ასევე, არ ანიჭებს მონაწილე პირ(ებ)ს მთავრობის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის/მოთხოვნის წარდგენის უფლებას. გამარჯვებულ პირთან იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ ეტაპზე მთავრობა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ინტერესთა გამოხატვის პროცესის შეწყვეტის/შეცვლის შესახებ, რაც განაპირობებს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირ(ებ)ისათვის მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტების (მათ შორის, წინასამშენებლო საბანკო გარანტიის) დაბრუნებას.
8.2. პროექტი სრულად ხორციელდება ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის სახსრებით.
8.3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე(ებ)ს/დაინტერესებულ პირ(ებ)ს არცერთ შემთხვევაში არ აუნაზღაურდებათ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით მათ მიერ გაწეული დანახარჯები.
8.4. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობები გამოცხადებულია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8.5. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობებსა და მის დანართებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინტერესთა გამოხატვის პირობებს. იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობებს.

9. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის ვადა და საკონტაქტო ინფორმაცია

9.1. ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირთა მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 1 ოქტომბერი, 18:00 საათი.
9.2. განაცხადების მიღება განხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში (მის: ჟიული შარტავას ქ., N7).

9.3. საკონტაქტო ინფორმაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, ტელ: 032 2378279, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საინვესტიციო პროექტებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი, თამარ ჟუჟუნაძე

9.4. ინტერესთა გამოხატვის ვადის ამოწურვის შემდგომ სააგენტო უფლებამოსილია მთავრობასთან შეთანხმების გარეშე გააგრძელოს ინტერესთა გამოხატვა.